

საქართველოს კანონი

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში
ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში (პარლამენტის უწყებანი, №13-14, 8.04.1998, გვ.31) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატება:

1. 396-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
“მუხლი 396. სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის წესი

სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის საფუძვლის წარმოშობისას სასამართლოს გამოაქვს მოტივირებული განჩინება, ხოლო მოსამართლეს ან პროკურორს – მოტივირებული დადგენილება სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ.”.

2. კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის 396¹ მუხლი:

“მუხლი 396¹. სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა პირის შეურაცხაობის გამო

1. წინასწარი გამოძიებისას ამ კოდექსის 28-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შემთხვევაში, პროკურორი „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების გამოყენების თაობაზე შუამდგომლობით მიმართავს წინასწარი გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს. შუამდგომლობა განიხილება ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში სასამართლოს მიერ „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებამდე დაკავებული ან დაპატიმრებული პირი გადაყვანილ უნდა იქნეს სპეციალიზირებულ სამედიცინო დაწესებულებაში, სპეციალიზირებულ სამედიცინო დაწესებულებაში ყოფნის დრო ითვლება არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების ვადაში.

3. სპეციალიზირებულ სამედიცინო დაწესებულების უფლებამოსილება და შექმნის წესი განისაზღვრება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით.

3. 499-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“2. თუ დადგინდა, რომ განსასჯელი დანაშაულის ჩადენის დროს შეურაცხად მდგომარეობაში იყო, მაგრამ დანაშაულის ჩადენის შემდეგ შეურაცხი გახდა, სასამართლოს გამოაქვს გამამტყუნებელი განაჩენი, რომლითაც განსაზღვრავს მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდას შესაბამის სამედიცინო (სამკურნალო) დაწესებულებაში მის გამოჯანმრთელებამდე, რის შემდეგაც მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდა გრძელდება საერთო წესით. იმ შემთხვევაში თუ არ გასულა მსჯავრდებულის მიერ მოსახდელი სასჯელის ვადა საკითხს არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების გამოყენების, შეცვლის, გაგრძელების ან მკურნალობის შეწყვეტის თაობაზე განიხილავს სისხლის სამართლის საქმის განმხილველი სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი. ამასთან სასამართლო უფლებამოსილია სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების შეცვლის,

გაგრძელების ან მკურნალობის შეწყვეტის თაობაზე საკითხი განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე.

3. თუ დადგინდა, რომ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენისას განსასჯელი შეურაცხ მდგომარეობაში იყო, სისხლის სამართლის საქმის განმხილველი სასამართლო, საკუთარი ინიციატივით ან მხარის შუამდგომლობით, წყვეტს სისხლისსამართლებრივ დევნას და ამავე დადგენილებით (განჩინებით) წყვეტს საკითხს „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული დონისძიებების გამოყენების თაობაზე”.

მუხლი 2.

ამ კანონის ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ უზრუნველყოს სპეციალიზირებულ სამედიცინო დაწესებულების შექმნის წესისა და უფლებამოსილების განსაზღვრა.

მუხლი 3.

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 15-ე დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი